საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1664
13/05/2022

1664-21-2-202205131227

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“

მის: ი. ჭავჭავაძის გამზირი, №34, სართული 6

ელ-ფოსტა: official@gulf-ge.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №8171 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, წყალსადენის ქუჩა №11-ში, 12400 m^3 მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე განხორციელებული ცვლილებების ფარგლებში, მოეწყო რეზერვუარების გაგრილების სისტემა, თუმცა, აღნიშნული სისტემის შესახებ ინფორმაცია გაუგებარია და საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ „ნავთობბაზაზე განხორციელებული და დაგეგმილი ცვლილებების“ თავში აღნიშნულია, რომ ტერიტორიაზე განთავსდა მექანიკური გამწმენდი ნაგებობა, ხოლო ამავე თავში აღწერილია მისი განთავსებისთვის დაგეგმილი ღონისძიებები. ამასთან, აღნიშნული ობიექტი რიგ შემთხვევაში მოხსენიებულია როგორც სეპარატორი, ხოლო რიგ შემთხვევაში - როგორც ნავთობშემკრები. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს როგორც აღნიშნული ინფრასტრუქტურის სახელწოდება, ისე მისი მოწყობის საკითხი, ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ტექნიკური წყლის დასაგროვებლად განთავსებული რეზერვუარების რაოდენობა და ტექნიკური პარამეტრები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო